

„ამ წმინდა ტაძრისთვის...“

(19.12.2021)

დიაკვანი, აგრძელებს რა საღვთო ლიტურდიის სამშვიდობო კვერექს, ამბობს: „წმინდა ტაძრისთვის და მასში შემავალთა, რწმენით, მოწიწებითა და შიშით უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ღვთის ტაძარი ეწოდება არა მარტო ყოველი მონათლული ქრისტიანის სხეულს, რომელშიც სახლდება წმინდა სული (1 კორ. 3:16 და 6:19), არამედ განსაკუთრებულ ნაგებობასაც, ღვთისმსახურებისადმი მიძღვნილია, რომელიც ჩვენ როგორც მორწმუნეები ვიკრიბებით ლოცვების აღსავლენად და წმინდა საიდუმლოებების აღსავლენად, აგრეთვე რათა თაყვანი ვცეთ შემოქმედს „ჭეშმარიტებასა და სულში“ (ინ. 44:24). სამლოცველო სახლსა და ღვთის ტაძარს აგრეთვე ეკლესიას უწოდებენ. (1 კორ. 11:22).

ახალი ტაძრის კურთხევის დღიდან იგი იწოდება წმინდად რადგან იგი მიძღვნილია მხოლოდ ღვთისმსახურებისთვის და მისი გამოყენება სხვა მიზნებისთვის დაუშვებელია. აგრეთვე იგი წმინდაა, იმიტომ რომ მასში მდებარეობს წმინდა ტრაპეზი, რომელზეც მიმდინარეობს საღვთო ევქარისტია. ლიტურდიიდან ძღვენსაცავში, რომელიც წმინდა ტრაპეზზე მდებარეობს, ინახება წმინდა პური, ხორცი და სისხლი ქრისტესი, რომელიც ემსახურება ზიარების განსაკუთრებულ შემთხვევებში. აქედან გამომდინარე ღვთის ყოფნა ყოველ მართლმადიდებლურ ტაძარში არს მუდმივი, ხოლო თავად ტაძარი წარმოადგენს ჩვენი განათლების ცენტრს, რის მეშვეობითაც ჩვენც ვხვდებით წმინდანები.

დიაკვნის თხოვნით ლოცვასთან „წმინდა ტაძრისთვის ამოსა...“ ჩვენ შევთხოვით ღმერთს საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნოს ჩვენი წმინდა ტაძარი უვნებელი და შეუსრულოს სწორი თხოვნები მორწმუნეებს, რომლებიც შედიან მასში რწმენითა და ღრმა ღვთისმოსავეობით.

რატომაა, რომ ამ თხოვნაში კეთდება ასეთი განსხვავება? რატომ არ ვთხოვთ უფალს შეისმინოს ყველა ტაძარში შემავლის ლოცვა, არამედ ვთხოვთ იმათთვის ვინც რწმენითა და ღვთივმოსაობით შედის ტაძარში?

ეკლესია ლოცვებშიც სულიერად წრთვნის თავის შვილებს. ეკლესია როგორც საღვთო წყალობის ხაზინა არ მოქმედებს მაგიურად ადამიანების სულელებზე. ზოგიერთი ფიქრობს, რომ თუ ისინი წავლენ კვირა დღეს ეკლესიაში, დაანთებენ სანთლების შეკვრას სასანთლეებზე, თაყვანს სცემენ წმინდა ხატებს და წავლენ, მაშინ მათ მოიხადეს ვალი ღმერთის წინაშე! მაგრამ იმავე საათში თქვად იესო ქრისტე წმინდად მონაწილეობს ევქარისტიის საიდუმლოში, გიმზადებს შენ საიდუმლო სერობას და მოგიწოდებს შენ დაჯდე, თავის მოსწავლეებთან: „მიიღეთ და სჭამეთ,“ „სუთ ყოვლისა ამისგან ყოველთა გეუბნება ის შენ, შენ კი ზურგს აქცევს ქრისტეს, მიდიხარ და თვლი რომ ღმერთის წინაშე ვალდებულება მოიხადე? შენ რიმ გჯეროდეს, რომ შენს წინაშე წმინდათ მოქმედებს ქრისტე, წახვიდოდი კი შენ?

ჩემო ძმებო და დებო, უფლის წმინდა ტაძარში ჩვენ უნდა მოვიდეთ არა მარტო რწმენით. აუცილებლად უნდა გვჯეროდეს, რომ მთავარი სანთლის ანთება და ხატების თაყვანისცემა არაა, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ხატისადმი თაყვანისცემით, მაგალითად უფლის ხატის წინაშე, ჩვენ თაყვანს ვცემთ თავად უფალს.

აქედან გამომდინარე, ტაძარში შემავალთ უნდა სჯეროდეს ორი რამე. პირველი - რომ, იმას რასაც შესთხოვენ რწმენით უფალს, თუ ეს მათი სულისთვის სასარგებლოა, აუცილებლად მიიღებენ (მარკ. 11:24). და მეორე - ტაძარი, სადაც ისინი იმყოფებიან, არის უფლის წმინდა სახლი.

მეორე გარემოებამ უნდა განსაზღვროს ჩვენი ქცევა ტაძარში. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენ მღვდლებს ძალიან აბრაზებთ ის, რომ განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, იძულებულები არიან შეახსენონ ეკლესიაში მომსვლელთ ჩაიცივან შესაბამისი ტანსაცმელი. არ შეიძლება კაცებს და ქალებს ეცვათ იგივე ტანსაცმელი, რომლითაც ისინი ზღვაზე საბანაოდ დადიან. უნდა წინასწარ წამოიღონ თან შესაბამისი ტანისამოსი და სანამ ტაძარში შევლენ, ჩაიცივან. იძულებული ვარ, ავღნიშნო, რომ ეკლესიაში მომსვლელ ზოგიერთი ქალები ტრადიციის მიხედვით თავზე იფარებენ, და არ ფიქრობენ რომ, სხეულის სხვა ნაწილები მოშიშვლებული აქვთ. ეს, თუ არ ხდება უვიცობის გამო, მიუთითებს თვალთმაქცობაზე.

პავლე მოციქულის სიტყვები: „დედაკაცმა უნდა ილოცოს თავდაბურულმა“ (1 კორ. 11:6), განკუთვნილია იმ ეპოქის სოციალური და ოჯახური შეხედულებებისადმი, რომლითაც იგი მიუთითებს ჩაცმულობის მნიშვნელობაზე. მსგავსი ჩვეულებები შენარჩუნებულია დღევანდელ დღემდე ბევრ ქვეყნებში. მაგრამ ეკლესიაში მომსვლელმა ქალებმა, რომლებიც თვლიან რომ საკმარისია თავსაფრის მოხვევა, ხოლო დანარჩენი სხეული მოშიშვლებული აქვთ, უნდა იცოდნენ, რომ პავლე მოციქული ასეთ შემთხვევაში მათ მხარეს არაა. და მათთვის სასარგებლო იქნებოდა ყურადღებით წაეკითხათ პავლე მოციქულის მითითება ღვთისმსახურების შესახებ: „ეგრეთვე დედათა და წესიერებისა სამკაულითა მორცხუედ და ღირსებით შემკობად თავთა თვისთა, არა განთხზვითა, ანუ ოქროთა ანუ მარგალიტითა ანუ სამოსლითა დიდფასისათა, არამედ რომელი - იგი ჰმეცნის დედათა, რომელთა აღუთქვას ღმრთის მსახურება საქმეთა მიერ კეთილთა“ (1 ტიმ. 2:9).

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ძალიან ხშირად მართლმადიდებლური ტაძრები ხშირად აიგივებენ ხუთ კონტინენტზე განლაგებულ წყნარ თავშესაფრებს, რომლებსაც ყოველდღიურ საზღვაო მოგზაურობაში მივმართავთ, რათა დავიცვათ თავი ქარებისა და ქარიშხლებისაგან, რათა ჩვენმა სულებმა იპოვონ სიმშვიდე სტრესისა და უსამართლობისაგან. რომ ჩვენ განვიკურნოთ ჩვენი ჭრილობების სიმრავლისაგან, გავძლიერდეთ სულიერად და მოვიპოვოთ წმინდა საიდუმლოების ძალა, რათა წარმატებით გავაგრძელოთ ჩვენი მოგზაურობა ზეციურ ნავსადგურში, რაც ჩვენი საბოლოო მიზანია. მთელი გულით ვილოცოთ უფლის მიმართ, რომ მოისმინოს და შეასრულოს ყველა „რწმენით, მოწიწებითა და ღვთის შიშით“ სწორი ვედრება, რომელიც აღევლინება მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ წმინდა ტაძრებში. რადგან ეს საყვარულის მოვალეობაა. ამინ